საჯარო სამართლის იურიდიული პირი -
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ბრძანება № 01-08/581

03 ნოემბერი, 2020 წ. ქ.ბათუმი

,,2020-2021 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრისათვის სხვა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებიდან ბსუ-ში სტუდენტთა გადმოყვანის წესით ჩარიცხვის შესახებ" ბსუ-ს რექტორის 2020 წლის 28 სექტემბრის №01-08/436 ბრძანებაში დამატების შეტანის შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, 43-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,თ'' ქვეპუნქტის, „უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში გადასვლის წესისა და საფასურის დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 4 თებერვლის №10/ნ ბრძანების, ,,უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერებათა მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის №3 ბრძანების, „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის დამტკიცების შესახებ" ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2015 წლის 8 ოქტომბრის №111 დადგენილების, ,,კრედიტების აღიარებისა და საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში ბსუ-ს სტუდენტთა შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის წესის დამტკიცების შესახებ" ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2017 წლის 29 ივლისის №55 დადგენილების, „2020-2021 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრისათვის სხვა საგანმანათლებლო დაწესებულებებიდან ბსუ-ში გადმოსვლის (გარე მობილობა) ვადების განსაზღვრის შესახებ" რექტორის 2020 წლის 21 ივლისის №01-02/86 ბრძანების, ,, სსიპ- ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ 2020-2021 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრში, მობილობის წესით ჩასარიცხ პირთა შესახებ დაწესებულებების სამართლებრივი აქტების პროექტების საგანმანათლებლო დაწესებულებების რეესტრში ელექტრონულად ასახვისათვის დადგენილი ვადის გაშვების საპატიოდ ცნობისა და გაშვებული ვადის აღდგენის შესახებ" სსიპ-განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის უფროსის 2020 წლის 30 ოქტომბრის №1.1/113 ბრძანების საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. შევიდეს დამატება ,,2020-2021 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრისათვის სხვა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებიდან ბსუ-ში სტუდენტთა გადმოყვანის წესით ჩარიცხვის შესახებ" ბსუ-ს რექტორის 2020 წლის 28 სექტემბრის №01-08/436 ბრძანებაში, კერძოდ, დანართი 1-ს დაემატოს 147-ე გრაფა - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტიდან ბსუ-ს ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ,,ბიზნესის ადმინისტრირების" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე, მობილობის წესით ჩასარიცხ, დოქტორანტ **შოთა თურმანიძის** (პ/ნ შესახებ შემდეგი ჩანაწერი:

N	სახელი და გვარი	პირადი ნომერი	საფეხური	აღიარებული კრედიტი	ძირ. საგანმანათ. ერთეული (ფაკულტეტი)	პროგრამა	სწავლის წლიური საფასური (ლარი)	სემესტრი
1	შოთა თურმანიძე		დოქტორანტურა	30	ეკონომიკისა და ბიზნესის	ბიზნესის ადმინისტრირება	3000	III

2. ბსუ-ს ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დეკანის ოფისმა უზრუნველყოს წინამდებარე ბრძანებით ჩარიცხული დოქტორანტის ინფორმირება ბსუ-ში პირადი საქმის გახსნისათვის საჭირო დოკუმენტაციის წარმოდგენის, ხელშეკრულების გაფორმების, აკადემიური და ადმინისტრაციული რეგისტრაციის გავლის შესახებ.
3. წინამდებარე ბრძანება გამოცემიდან 2 სამუშაო დღის ვადაში აისახოს საგანმანათლებლო დაწესებულების რეესტრში, 3 დღის ვადაში წარდგენილ იქნას საჯარო სამართლის იურიდიული პირი-განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში.
4. ბრძანება აღსასრულებლად და გასაცნობად დაეგზავნოს ბსუ-ს შესაბამის სტრუქტურულ ერთეულებს (სასწავლო პროცესის დეპარტამენტს, სტუდენტთა კარიერული განვითარების, კულტურისა და სპორტის დეპარტამენტს, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს, დიპლომების გაცემისა და რეესტრის სამსახურს) და შოთა თურმანიძეს.
5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით ბათუმის საქალაქო სასამართლოში(ს. ზუბალაშვილის ქ. №30) კანონით დადგენილი წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.
6. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

რექტორი, ასოცირებული პროფესორი **მერაბ ხალვაში**